რას მოუტანს საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების სიმრავლე?

“დადგება დრო, როდესაც ლადო გურგენიძეს და კახა ბენდუქიძეს პასუხს მოსთხოვენ და ალბათ არა მხოლოდ ეროვნული ბანკის გამო!”

გაზეთი “ყველა სიახლე” – 17-23 სექტემბერი, № 37, 2009

ჩვენი გაზეთის სტუმარია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა, რომელსაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შეფასება ვთხოვეთ:

– ბატონო ლადო, ჩვენში უკვე აღარავის უკვირს ტერმინი “თავისუფალი ინდუსტრიული ზონა”. უფრო მეტიც, ხელისუფლება გვპირდება, რომ ახლო მომავალში საქართველოში 5 ასეთი ზონა გვექნება: ქუთაისში – ორი, ხოლო თბილისში, ფოთსა და ბათუმში – ერთი. როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?

– თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ მე არაერთხელ მიმსჯელია, მათ შორის, თქვენი გაზეთის ფურცლებიდანაც. თავისუფალი იდუსტრიული ზონა, ანუ იგივე თავისუფალი ეკონომიკური ზონა, არის ის ტერიტორია, სადაც არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა მთელი სისრულით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ტერიტორია, სადაც ბიზნესი გათავისუფლებულია გადასახადებისაგან. ბუნებრივია, რომ თუ ბიზნესი გათავისუფლებულია გადასახადებისაგან, ის ცდილობს კონცენტრაცია მოახდინოს სწორედ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში. კარგია ეს, თუ ცუდი? – ჩემი შეფასება ისეთივეა, როგორიც წლების წინ იყო: ამგვარი ზონების არსებობა ქვეყანას საკმაოდ დიდ ზარალს მოუტანს. გეტყვით რატომ, – იმიტომ, რომ საქართველო არის ქვეყანა, სადაც არის ინვესტიციური შიმშილი, აქ ინვესტიციები ძალიან მცირე ოდენობით შემოდის. როდესაც ასეთ პირობებში თავისუფალი ინდუსტრიული ზონა იქმნება, ინვესტიციები თავს იყრის სწორედ ამ ზონაში, ხოლო სხვა რეგიონებში ინვესტიციური შიმშილი კიდევ უფრო იზრდება. ანუ, ჩვენში მოხდება ასეთი რამ: განვითარდება ყველა ის რეგიონი, სადაც თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

შეიქმნება, მაგრამ განვითარდება დანარჩენი საქართველოს ხარჯზე. ხოლო თუ მთელ საქარველოს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონად გამოვაცხადებთ, მაშინ გადასახადებს ვეღარ ამოვიღებთ და პრაქტიკულად ქართული სახელმწიფო აღარ იარსებებს. როგორ შეიძლება ფოთის, ქუთაისისა თუ სხვა ქალაქის განვითარების მომხრე ვიყო დანარჩენი საქართველოს ხარჯზე? ეს არის დიდი შეცდომა, რომელსაც ჩვენ სამწუხაროდ ვეღარ ვიცილებთ თავიდან ამ ხელისუფლების ხელში, მაგრამ რა გაეწყობა, ეს სამწუხარო რეალობაა!

– ბატონო ლადო, ბოლო ხანებში უცნაური ამბები ხდება "სახალხო ბანკის" ირგვლივ: ამ ბანკის აქციები ერთბაშად 190%-ით გაძვირდა, მის აქციონერებს შორის ყოფილი პრემიერი – ლადო გურგენიძეც სახელდება, მყიდველებს შორის კი კახა ბენდუქიძესაც ასახელებდნენ საინტერესოა, რა ხდება?

– ვერ გეტყვით ვერაფერს, მე ის ვიცი მხოლოდ, რომ "სახალხო ბანკი" ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ბანკი, რომელიც ახორციელებს ბიუჯეტიდან თანხების განაწილებას ხელფასებსა და პენსიებზე. ეს არის ფინანსური დაწესებულება, თუმცა როგორც ბანკი, ძალიან პრობლემურია. მე ისიც არ ვიცი ვინ არის დღეს მისი მესაკუთრე, ვის ეკუთვნის პაკეტი, ისიც არ ვიცი, რას უპირებენ. ამბობენ, რომ ამ ბანკის სარფიანად გაყიდვა სურთ, მაგრამ როდის და როგორ, ამის შესახებ ჩემთვის ცნობილი არაფერია. უნდა ვაღიაროთ, რომ მართლაც ბევრი უცნაური რამ მოხდა ამ ბანკთან დაკავშირებით: ივნისის დასაწყისში საქართველოს ფინანსთა მინისტრმა განაცხადა – 50 მილიონი ლარი გვაქვს ხაზინაში და არ ვიცით რა ვუყოთ, ამიტომაც სასურველია რომელიმე კერძო ბანკში ჩავდოთ ეს ფულიო. ჩაატარეს ტენდერი და ასეთ ბანკად რატომღაც "სახალხო ბანკი" დასახელდა, რომელმაც ბიუჯეტიდან მართლაც მიიღო 50 მილიონი ლარი. ჩემი აზრით, მთავრობის ვალია რაც შეიძლება მეტი გამჭვირვალობა შეიტანოს მსგავს პროცესებში, რითაც სხვადასხვა მოარული ჭორი მოიხსნება. ეს არის ფინანსური ინსტიტუტი და მისი საქმიანობა უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს, რომ საზოგადოებაში ამ ბანკის მიმართ ნდობა გაჩნდეს. არც ის არის ცნობილი, ლადო გურგენიძემ შეიძინა, თუ მას დაევალა ბანკის გაყიდვა და ყოველივე ამის ლამაზად "შეფუთვა", მთავარი მაინც ისაა, რომ საბანკო სფერო ძალზე სათუთი სფეროა და არ შეიძლება თუნდაც ერთ რომელმე ბანკს შეექმნას ზედმეტი პრობლემები, რადგან ეს აუცილებლად იქონიებს გავლენას მოსახლეობის ნდობაზე დანარჩენი ბანკების მიმართაც. ამ ეტაპზე

რა და როგორ არის ჩაფიქრებული "სახალხო ბანკის" თაობაზე, ამის თქმა შეუძლებელია, რადგან ინფორმაცია არ არის საჯარო.

– სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობს "ეროვნულ ბანკშიც", მისი ფუნქციები იზრდება, კანონიდან იმ მუხლის ამოღებასაც აპირებენ, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობის უფლებას ანიჭებს. ამის გამო თანამდებობა დატოვა რობერტ კრისტიანსენმა. როგორ შეიძლება შეფასდეს ეს პროცესები?

– მინდა მკითხველს შევახსენო, რომ 2008 წლის გაზაფხულზე, როდესაც გურგენიძემ და ბენდუქიძემ ეროვნული ბანკი დაანგრიეს, ერთ-ერთი საკამათო საკითხი იყო, შეიძლებოდა თუ არა ეროვნული ბანკის საბჭოში შესულიყო უცხო ქვეყნის მოქალაქე. მაშინ ჯერ კიდევ დეპუტატი ვიყავი, პარლამენტის ტრიბუნა გამოვიყენე და არაერთხელ მივმართე საპარლამენტო უმრავლესობას, რომ ეს კანონი არ მიეღოთ. მაშინაც და დღესაც ვფიქრობ, რომ არ შეიძლება უცხო ქვეყნის მოქალაქე იყოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. ეს არის საკმაოდ მაღალი დონის ორგანო, რომელსაც ქვეყნის საიდუმლო საქმეებთან აქვს შეხება. ამიტომაც, აუცილებელია იქ იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, რომლის წინაშეც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება აღიძრას პასუხისმგებლობის საკითხი. ჩემთვის გაუგებარი იყო როცა იქ ჩაწერეს უცხო ქვეყნის მოქალაქე. მახსოვს, ასეთი მაგალითიც მოვიყვანე: იმისათვის, რომ უცხოელმა საქართველოს კალათბურთის ნაკრებში ითამაშოს, ქვეყნის პრეზიდენტმა მას მოქალაქეობა უნდა მისცეს და თუ ასეა, თუ კალათბურთის სათამაშოდ მოქალაქეობის მიღებაა საჭირო, რატომ არ უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, რომელმაც ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები უნდა გადაწყვიტოს-მეთქი. სამწუხაროდ, ჩემი წინადადება მაშინ პარლამენტში არ გაიზიარეს, მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი დამეთანხმა. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ მივესალმები გიორგი ქადაგიძის მიერ გადადგმულ პრინციპულ ნაბიჯს, რომელმაც პრაქტიკულად გამორიცხა ის სიმახინჯე, რაც გამოწვეულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობით ეროვნული ბანკის საქმიანობაში. უფრო მეტიც, მე მინდა მივულოცო მას სერიოზული გამარჯვება!

– ცნობილია, რომ უცხოელები მხოლოდ კონსულტანტის რანგში შეძლებენ ეროვნულ ბანკში საქმიანობას, მაგრამ ბატონმა კრისტიანსენმა ამაზე უარი განაცხადა.

– რასაკვირველია, კონსულტანტად ყოფნა შეიძლება, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ხოლო თუ ვინმე თაკილობს ეროვნული ბანკის კონსულტანტობას, ეს მისი საქმეა. რობერტ კრისტიანსენს ვიცნობ, განაგრძობს თუ არა საქმიანობას ეროვნულ ბანკში, ეს მისი გადასაწყვეტია. უბრალოდ, თავიდან არ უნდა დაეშვათ მსგავსი შეცდომა, როდესაც უცხოელი შეიყვანეს ბანკის საბჭოს წევრად. ეს მიუღებელი ნაბიჯი იყო ქართული სახელმწიფოსათვის.

– ბატონო ლადო, ბევრი ფიქრობს, რომ ბოლო წლებში ეროვნულ ბანკში უამრავი შეცდომა და დანაშაული იქნა ჩადენილი, რომ უსამართლოდ მოექცნენ ბანკის თანამშრომლებს, უკანონოდ დაითხოვეს სამსახურიდან თქვენც იზიარებთ ამ მოსაზრებას?

– რაც შეეხება თანამშრომლების გაშვებას, ამაზე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი მეუღლეც გაუშვეს ამ ბანკიდან. ამიტომ, მე გამოვდივარ როგორც დაინტერესებული მხარე და ამ თემაზე საუბრისაგან თავს შევიკავებ. რაიმე რომ ვთქვა, იტყვიან, ყველაფერს პირადი წყენის გამო ლაპარაკობსო...

– დასასრულ, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფლებამოსილება ეროვნულ ბანკზე გადადის. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ცვლილება?

– რა თქმა უნდა, ეროვნული ბანკი იბრუნებს საფინანსო ზედამხედველობის ფუნქციას და ეს უმნიშვნელოვანესი ცვლილებაა. ეს არის დიდი გამარჯვება. ერთ დროს გურგენიძემ და ბენდუქიძემ ძალიან დიდი ზიანი მიაყენეს ქვეყანას ეროვნული ბანკის დასუსტებით. ვფიქრობ, რომ დადგება დრო, როცა ერთსაც და მეორესაც ამის გამო პასუხს მოსთხოვენ და ალბათ არა მხოლოდ ამის გამო...

ხათუნა ჩიგოგიძე